ხელშეკრულება
მომსახურების გაწევის შესახებ 156

ქ. თბილისი 04-08-2017 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ინფო 9" (შემდგომში – შემსრულებელი), წარმოდგენილი დირექტორის დიმიტრი შამათავას სახით და მეორეს მხრივ, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდენტიფიკაციო კოდი 241578574 (პირ. ნომ. 45001004506), სახით (შემდგომში-დამკვეთი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: **საინფორმაციო მომსახურების გაწევა (შემდგომში – მომსახურება).**

1.2 მომსახურების ზუსტი აღწერილობა, მოცულობა, ვადები, ღირებულება მითითებულია დანართ №1-ში, რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორების პირობა

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული ღირებულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით განისაზღვრება ---- (----1416----) ლარის ოდენობით.

2.2 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების ფაქტობრივად გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის წერილობითი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

3. მომსახურების ხარისხი

3.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მოთხოვნებს.

4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2017 წლის -08-04-დან 2017 წლის-12-31- ჩათვლით, დანართი №1-ს შესაბამისად.

4.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება დამკვეთის სარეკლამო მასალის ან/და დამკვეთთან წინასწარ შეთანხმებული ინფორმაციის შემსრულებლის ვებ-გვერდი www.info9.ge -ზე განთავსებით.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსრულებლის მიერ მომსახურება გაწეულად, ხოლო დამკვეთის მიერ მიღებულად ითვლება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, შემსრულებელი წარუდგენს დამკვეთს შესაბამის საბუღალტრო დოკუმენტაციას

5.3 დამკვეთი უფლებამოსილია, განაცხადის უარი გაწეული მომსახურეობის მიღებაზე, თუ იგი უხარისხოა, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს ან წარმოდგენილი არაა თანმხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.4 დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მუხუდალაშვილი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.1.3. **არ განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, თუ შემსრულებელი არღვევს ხელშეკრულების პირობებს ან/და ვერ უზრუნველყოფს მომსახურების სათანადოდ გაწევას.**

7.1.4. მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე მიიღოს შემსრულებლისგან მომსახურების გაწევის შესახებ სრული ინფორმაცია.

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

7.2.1. გონივრულ ვადებში აცნობოს შემსრულებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;

7.2.2. შემსრულებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებისას მიუთითოს ინფორმაციის წყარო, ხოლო ინტერნეტში განთავსებისას უზრუნველყოს შესაბამისი ბმულის განთავსება.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.3 შემსრულებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3.2. მოითხოვოს დამკვეთისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4 შემსრულებელი ვალდებულია:

7.4.1. მომსახურების გაწევის პროცესში გაითვალისწინოს დამკვეთის მითითებები, ასევე მის მიერ განხორციელებული ქმედებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

7.4.2. შემსრულებელია პასუხისმგებელია მის მიერ ნაკისრი მომსახურების ხარისხსა და სრულყოფილებაზე.

7.4.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.4.4. დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამკვეთს მომსახურების გაწევის პროცესში წარმოშობილი დაბრკოლების ან რაიმე ხარვეზის შესახებ და უზრუნველყოს ხარვეზის დაუყოვნებლივი გამოსწორება. თუ დამკვეთისთვის ინტერესს მოკლებულია მომსახურების გაწევა ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, დამკვეთი არ არის ვალდებული აუნაზღაუროს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება, გარდა შემსრულებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებისა.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 დამკვეთი უფლებამოსილია მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან.

7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ აცნობებს შემსრულებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებენ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გაჩენია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას იმით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბაჟო-ტერო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9.2 ხელშეკრულება შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ასევე კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 თუ მომსახურების გაწევის ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო არ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, აღნიშნული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიუწოდებლობად ჩაითვლება და შემსრულებელს დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

10.2 დამკვეთი უფლებამოსილია, შემსრულებლის ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და შემსრულებლის მიერ ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 30 %-ის ოდენობით, ასეთი ფაქტის დაფიქსირების ყველა შემთხვევაზე.

10.3 დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა შეიძლება მოხდეს, როგორც ახანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ისე დამრღვევი მხარის მიერ ამ თანხის გადახდის გზით (შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში).

11. სხვა პირობები.

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავისი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3 ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.4 სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში, თუ მხარეები პირდაპირი მოლაპარაკებების გზით ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

11.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელშემწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება მხარეთა მიერ ორმხრივად ხელმოწერილი უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი: ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა საიდენტიფიკაციო კოდი : 241578574	შემსრულებელი შ.პ.ს. „ინფო 9" საიდენტიფიკაციო კოდი: 405009146 ქ. თბილისი, კოსტავას 47/57
ილია მზექალაშვილი დირექტორი _____	საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი" ა.ა: GE33TB7703336020100002
	დიმიტრი ბაჩათაძე დირექტორი _____